პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 12 (13133) | შაბათი, 16 იანვარი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ადამიანისათვის ზრუნვა პროფკავშირების მოვალეობაა

ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის! — ასეთია კომუნისტური პარტიის დიადი ლოზუნგი, მისი პრაქტიკული საქმიანობის ურყევი კანონი. ადამიანებისათვის უდიდესი ზრუნვით არის გამსჭვალული სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმა. პარტია და მთავრობა ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას ხალხის კეთილდღეობის საერთო აღმავლობისათვის, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

ამ საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაჭრაში დიდი როლი ეკუთვნით საბჭოთა პროფკავშირებს. ჩვენი ქვეყნის ყველაზე მასობრივი ორგანიზაცია — პროფკავშირები მართვის, მეურნეობის გაძღოლისა და აღზრდის ნამდვილი ლენინური სკოლაა. შეჯიბრებაში ფართო მასების ჩაბმით პროფკავშირული ორგანიზაციები დიდ ზემოქმედებას ახდენენ სოციალისტური წარმოების მთელ მსვლელობაზე, ეხმარებიან პარტიას დარაზმოს ხალხის ძალები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

ამავე დროს საბჭოთა პროფკავშირების უმნიშვნელოვანესი, წმიდათა წმიდა მოვალეობაა ყოველდღიური ზრუნვა ადამიანისათვის, მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი ინტერესებისა და უფლებების დაცვა.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლების საერთო პროგრამის განუყოფელი ნაწილია საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, პროფკავშირების წინაშე აქ გადაშლილია საქმიანობის ფართო ასპარეზი.

ცნობილია, რომ უკანასკნელ დრომდე მომსახურების სფეროს ჩვენში გაუმართლებლად ცოტა ყურადღება ეთმობოდა. პარტიამ და მთავრობამ დასახეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომ გამოასწორონ ეს მდგომარეობა. 1965 წლის გეგმით დასახულია მნიშვნელოვნად გადიდდეს საქონელბრუნვა, გაუმჯობესდეს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობა, გაძლიერდეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. საქმე ეხება იმას, რომ ძირეულად შეიცვალოს დამოკიდებულება მომსახურების სფეროსადმი.

საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც მოსახლეობას ემსახურებიან, მუშაობს პროფკავშირების წევრთა დიდი რაზმი. ამოცანა ის არის, რომ გავაძლიეროთ მათ შორის აღმზრდელობითი მუშაობა, ჩავაბათ ისინი შეჯიბრებაში, რათა უკეთ, უფრო კულტურულად მოემსახურონ მოსახლეობას, ვიდრე ეს აქამდე იყო.

საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობაზე პროფკავშირული ორგანიზაციების ზემოქმედების სხვა ქმედითი საშუალებაა საზოგადოებრივი კონტროლი მათი საქმიანობისადმი. საჭიროა გაძლიერდეს საზოგადოებრივი კონტროლი საბინაო და კულტურული მშენებლობის, ბინების განაწილების დარგშიც, საბავშვო და სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობაში.

საბჭოთა პროფკავშირები უშუალოდ ხელმძღვანელობენ იმ დაწესებულებათა დიდ ჯგუფს, რომლებიც მშრომელებს ემსახურებიან. ეს არის სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, კლუბები, სტადიონები, ტურისტული ბაზები, პიონერთა ბანაკები. პროფკავშირები განაგებენ ისეთ უმნიშვნელოვანეს საქმეს, როგორიც არის სახელმწიფო სოციალური დაზღვევა, მუშებსა და მოსამსახურეებს უნიშნავენ და აძლევენ დახმარებას დროებითი შრომისუუნარობის გამო. საბჭოთა პროფკავშირების ღირსების საქმეა სანიმუშოდ წარმართონ თავიანთი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობა, რომლებიც მოსახლეობას უწევენ მომსახურებას.

ყველაფერი, რაც ამსუბუქებს ცხოვრებას, ხელს უწყობს შრომისნაყოფიერების გადიდებას, ყველაფერი, რაც შეეხება მშრომელთა საარსებო ინტერესებს, ყოფაცხოვრებას, ჯანმრთელობას, მუდამ პროფკავშირულ ორგანიზაციათა ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. დიდი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, შრომის დაცვასა და უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფას წარმოებაში. ყოველწლიურად საბჭოთა სახელმწიფო დიდ სახსრებს ახმარს ღონისძიებებს ამ მიზნით. ახალი სამრეწველო საწარმოების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს დიდი თანხები ხმარდება ვენტილაციისა და ყოველგვარი საწმენდი და აირსაჭერი მოწყობილობის აგებას, საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური სათავსების მშენებლობასა და მოწყობას. მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობანი, თუ მათ სწორად გამოვიყენებთ, საშუალებას მოგვცემს ყველა საწარმოში უზრუნველყოთ ნაყოფიერი შრომის ნორმალური, ჯანსაღი ვითარება.

აქაც გადამწყვეტ როლს ასრულებს პროფკავშირების აქტივობა. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ პროფკავშირულ ორგანიზაციას, ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს, თუ ნამდვილად ზრუნავს შრომის პირობებისათვის თავის საწარმოში. კუსკოვოს ქიმიური ქარხანა (მოსკოვი) რამდენიმე ათეული წლის წინათ აშენდა. მის საამქროებში ყოველწლიურად დიდი მუშაობა მიმდინარეობს შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. ამ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ პროფკავშირული ორგანიზაცია, ქარხნის მთელი საზოგადოებრიობა. 1963-1964 წლებში ქარხანაში მოეწყო შრომის დაცვის საზოგადოებრივი დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობდა კოლექტივის დიდი ნაწილი. დათვალიერების დროს წამოაყენეს შრომის პირობების გაუმჯობესების 570 წინადადება, რომელთაგან 420 წინადადება უკვე გამოყენებულია.

მაგრამ ჯერ კიდევ არის პროფკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც ფრიგდებიან იმას, რომ მათს საწარმოებში ცუდად ზრუნავენ შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. ამას წინათ „პრავდის“ რედაქციამ მიიღო მიხაილოვსკის რკინას კომბინატის (ურსკის ოლქის ქალაქი ყელეზნოგორსკი) სამხვრეთ-სახარისხებელი ფაბრიკის მუშათა ჯგუფის წერილი. წერილის ავტორები უჩივიან იმას, რომ ფაბრიკის საამქროები დამტვერიანებულია მოწყობილობის კონსტრუქციულ ნაკლოვანებათა გამო. მუშებმა არაერთგზის მოსთხოვეს ფაბრიკისა და მთელი კომბინატის ხელმძღვანელებს აღმოეფხვრათ ეს ნაკლოვანებანი, მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა.

ისმება კითხვა: რატომ არ დაიცვეს ფაბრიკის და მთელი მიხაილოვსკის კომბინატის პროფკავშირების ორგანიზაციებმა, კურსკის ოლქის პროფკავშირთა საოლქო საბჭომ ფაბრიკის მუშათა კანონიერი ინტერესები, არ მოსთხოვეს საწარმოს ადმინისტრაციას შეექმნა მუშაობის ნორმალური პირობები?

ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია არ იჩენს მომთხოვნელობას სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი. ხშირად საწარმო აფართოებს წარმოებას ისე, რომ არ ზრუნავს სანიტარულ-ჰიგიენური ბაზის შესაბამისი განმტკიცებისათვის. ასე მოხდა, მაგალითად, ლუგანსკის თბომავალსაშენებელ ქარხანაში, სადაც დროზე არ მიიღეს ღონისძიებანი საყოფაცხოვრებო სათავსების გაფართოებისათვის. სამუშაოს შემდეგ საშხაპეში რომ იბანაონ, მუშები დიდხანს უნდა იდგნენ რიგში.

ბევრ სამართლიან საყვედურს იწვევს სპეცტანსაცმლის, სპეციფესსაცმლის ხარისხი. შარშან „პრავდამ“ არაერთხელ აღძრა ეს მწვავე საკითხი. მაგრამ მდგომარეობა დღემდე არ შეცვლილა არსებითად. დროა, ბოლოს და ბოლოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სახალხო მეურნეობის საბჭომ სახელმწიფო რელსებზე დააყენონ სპეცტანსაცმლის წარმოება, შექმნან მსხვილი სპეციალიზებული საწარმოები უამრავი შინამრეწველური და ნახევრად შინამრეწველური სახელოსნოებისა და საამქროების ნაცვლად, მოამარაგონ ისინი მაღალი ხარისხის ნედლეულითა და მასალებით.

„პრავდის“ და სხვა გაზეთების რედაქციებს მოსდით ბევრი სიგნალი, რომ ცალკეული სამეურნეო ხელმძღვანელები არღვევენ შრომის კანონმდებლობას. დაუსაბუთებელი დათხოვნები, საზეგანაკვეთო სამუშაოთა გამოყენება, დასვენებისა და სადღესასწაულო დღეების გაუქმება — ყოველივე ეს სრულიად გაუმართლებელი და შეუწყნარებელი მოვლენებია, საკითხავია: რატომ ურიგდებიან პროფკავშირული ორგანიზაციები ასეთ ბიუროკრატიულ დამახინჯებებს?!

ამ ცოტა ხნის წინათ საკავშირო პროფსაბჭომ დაავალა ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ პროფკავშირთა საბჭოსა და კომიტეტებს გააძლიერონ ზედამხედველობა შრომის კანონების დაცვისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები დამკმაყოფილებელ კონტროლს არ უწევენ და საკმაო მომთხოვნელობას არ იჩენენ სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი, საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებმა შარშან სამუშაოზე აღადგინეს მუშათა და მოსამსახურეთა ნახევარზე მეტი, რომლებმაც საჩივარი შეიტანეს სასამართლოში უმართებულოდ დათხოვნის გამო.

შრომის კანონები ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის უმნიშვნელოვანესი რევოლუციური მონაპოვარია. მათი ხელყოფის უფლება არავის არა აქვს! პროფკავშირული ორგანიზაციები არ უნდა შეურიგდნენ შრომის კანონმდებლობის დარღვევას, პასუხი უნდა აგებინონ იმათ, ვისაც არ სურს ანგარიში გაუწიოს საბჭოთა კანონს!

დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას პროფკავშირების წინაშე საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ხალხის კეთილდღეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. ამ ამოცანების გადაწყვეტაში მათ დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულმა ორგანიზაციებმა, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი პროფკავშირთა კანონიერ მოთხოვნებს სამეურნეო ორგანოებისადმი, ყოველნაირად განამტკიცონ მათი ავტორიტეტი.

სურათზე: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მოწინავეთა ჯგუფი, რომლებსაც მიენიჭათ რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერისა და რესაუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდებები, აგრეთვე ისინი, რომლებიც დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (მარცხნიდან მარჯვნივ) — ინჟინერი ლ. ქურციკიძე, მლარავი ა. ალექსეენკო, ამწყობი-ზეინკალი შ. ფირცხალავა, ხარატი ი. უკოლოვი, ინჟინერი ი. პოგრებეცკი, მრანდავი ბ. ჩიტაიშვილი, ამწყობი-ზეინკალი ა. ბენდიანიშვილი, ინჟინერი ფ. გერშკოვიჩი, მეინსტრუმენტე გ. ზარფოტო ვლ. გინზბურგისა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მსოფლიოში საუკეთესო პროდუქციისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში ფართოდ გავრცელდეს მოსკოვისა და ლენინგრადის გაერთიანებების, ქარხნებისა და ფაბრიკების კოლექტივთა პატრიოტული ინიციატივა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს სამოოთხი წლის განმავლობაში მიაღწიონ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეს.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქარხნებისა და ფაბრიკების კოლექტივებმა მხარი დაუჭირეს მოსკოვისა და ლენინგრადის სამრეწველო საწარმოების პატრიოტულ ინიციატივას და შეუდგნენ კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია უახლოესი წლების განმავლობაში მიაღწიონ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეს.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში, ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში, სართავ-სატრიოტაჟო კომბინატში, № 7 სამკერვალო ფაბრიკასა და სხვა საწარმოებში ამუშავებენ ახალი პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების, უფრო სრულყოფილი კონსტრუქციის კვანძებისა და დეტალების, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებებს.

მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული პარტორგანიზაციები. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა შეაჯამა ქალაქის იმ სამრეწველო საწარმოთა შორის გაწეული შეჯიბრების პირველი შედეგები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ძვირფას თაოსნობას, და ახორციელებს პრაქტიკულ ღონისძიებებს კონკრეტულ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომელთა მიზანია პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესება.

ანალოგიური ინიციატივებით, ანალოგიურ ვალდებულებებით, ანალოგიურ

პარტიული ცხოვრება

ფრთებს ისხამს
ლენინგრადელთა გამოცდილება

ლენინური გაკვეთილი

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა მთელ ქალაქში ყველაზე პირველმა უპატაჟა სამშობლოს გასული წლის დავალების ვადამდე შესრულება. მეკონსერვეებმა გეგმის გადამტანები მისცეს ქვეყანას ერთი მილიონ 875 ათასი ქილა მაღალხარისხოვანი კონსერვი და [illegible] შეგებმთი მოგება მიიღეს.

ამ სასახელო წარმატებაში ჩაქსოვილია ქარხნის შრომისმოყვარე კოლექტივის თვითეული წევრის პატრიოტული წვლილი. ასე მაღალნაყოფიერად მუშაობა უწინარეს ყოვლისა იმან განაპირობა, რომ საწარმოში სულ უფრო ფართოვდება მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის. ახლა ორი საამქრო, ოთხი ბრიგადა და ათობით მუშა იბრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივისა და დამკვრელის სამაგალითო სახელის მოსაპოვებლად, ხოლო სამმა საამქრომ, ექვსმა ბრიგადამ და 78 მუშამ უკვე მოიპოვა ეს მაღალი წოდებანი.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია უნარიანად იყენებს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა ბერკეტს იმისათვის, რომ აღზარდოს ადამიანები შრომისადმი ახალი, კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. ამ მიზნით შეიქმნა აქ კომუნისტური შრომის სკოლა, ამავე მიზნით იმართება თემატური საღამოები კომუნიზმის მშენებლის ზნეობრივი პრინციპების, წარმოების კულტურის, საქარხნო მარკის ღირსებისა და სხვა აქტუალური საკითხებზე.

პარტიბიურო (მდივანი ს. შაბარიძე) და მისი იდეოლოგიური კომისია (თავმჯდომარე ა. კუპრაშვილი) რომ იდეოლოგიური მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებაში არიან, ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა ახალგაზრდა მუშების პოლიტიკური სწავლების შესანიშნავი ფორმის — ლენინური გაკვეთილის შემოღებამ, რომელიც, როგორც ცნობილია, ლენინის ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ წამოიწყო.

საინტერესოდ მომზადდა და წარიმართა პირველი ლენინური გაკვეთილი, რომელიც აქ ამ დღეებში მოიწყო. ამ პირველი გაკვეთილის დევიზი ისეთივე იყო, როგორიც ლენინგრადის პარტიის XXII ყრილობის სახელობის ლითონის ქარხანაში გამართული გაკვეთილისა: მოვეთათბიროთ ლენინს. თემატიკაც იგივე იყო, თუმცა მის მომზადებასა და ჩატარებაში შტამპი და შაბლონი არ ყოფილა.

ლენინური გაკვეთილის თემა იყო: „ვ. ი. ლენინის ნაშრომი „დიადი თაოსნობა“ და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა ჩვენს ქარხანაში“.

იდეოლოგიური კომისიის მიერ წინასწარ შედგენილი გეგმისა და თემატიკის მიხედვით ჩანდა, რომ გაკვეთილის მსვლელობის დროს თეორიულ საკითხებთან ერთად დიდი სჯა-ბაასი უნდა გამართულიყო კომუნისტური შრომის ორგანიზაციის, სოციალისტური შეჯიბრების, შრომითი და საწარმოო დისციპლინის პრაქტიკულ საკითხებზე.

ასეც მოხდა!

ლენინურ გაკვეთილზე მიწვეული იყვნენ ქარხნის სათუნუქე და საფაბრიკატო საამქროების კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც კომუნისტები მ. კაპტიავაძე და ქ. გოდუაძე ხელმძღვანელობენ, აგრეთვე კომუნისტური შრომის სკოლის მსმენელები, საწარმოს ხელმძღვანელი მუშაკები.

გაკვეთილისათვის მომზადების დროს ახალგაზრდა მუშებმა დამოუკიდებლად შეისწავლეს ბელადის ნაშრომი. მათ დასახმარებლად ქარხნის ბიბლიოთეკაში მოეწყო სარეკომენდაციო ლიტერატურის გამოფენა, დაინიშნა კონსულტაციის დღეები. გაკვეთილის მონაწილენი ამავე დროს აგროვებდნენ საჭირო მასალებს ქარხანაში კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის საკითხებზე. საამისოდ ისინი მიმართავდნენ პროფკავშირის საქარხნო და საამქროთა კომიტეტებს, ქარხნის შეხბამის განყოფილებებს. საქარხნო კედლის გაზეთი და ადგილობრივ რადიოგადაცემათა რედაქცია აშუქებდნენ გაკვეთილისათვის მზადების საკითხებს.

ასე მომზადებულმა გაკვეთილმა, ბუნებრივია, მაღალ დონეზე ჩაიარა.

როცა გაკვეთილი დაიწყო, იდეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე ა. კუპრაშვილი, რომელსაც პროპაგანდისტული მუშაობის დიდი სტაჟი და გამოცდილება აქვს, მსმენელებს ესაუბრა ლენინური გაკვეთილის მიზნებსა და ამოცანებზე.

პირველი საუბრობს გაკვეთილზე ახალგაზრდა მუშა-ქალი, საფაბრიკატო საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი ნ. ნაცვლიშვილი. გულსა და გონებას სწვდება მისი ყოველი სიტყვა. ახასიათებს იგი იმ პერიოდს, როცა ვ. ი. ლენინის ნაშრომი „დიადი თაოსნობა“ დაიწერა, და დასძენს, რომ ამ დროს ჩვენი ქვეყანა გახვეული იყო სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, ხალხი ძმიმე განსაცდელში იყო. მაგრამ ხალხს სჯეროდა თავისი პარტიისა, სწამდა ნათელი მომავალი. პირველი კომუნისტური შაბათობის მონაწილეებმა ზედმეტად, უსასყიდლოდ იმუშავეს 5 საათი. და იმის მიუხედავად, რომ მუშებს უჭირდათ, პური არ ჰყოფნიდათ, მაინც ჩვეულებრივზე ორჯერ და სამჯერ უფრო მაღალ შრომის ნაყოფიერებას მიაღწიეს.

ასეა, როცა შეგნებულად, ხალისით ეკიდები საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. განა სირცხვილი არ არის ახლა, როცა შრომის, სწავლისა და ცხოვრების ასეთი საუკეთესო პირობები გვაქვს, კუდში მისჩაჩალებდე სხვებს, არღვევდე შრომისა და საწარმოო დისციპლინას!? ასე დაამთავრა საუბარი კომუნისტური შრომის დამკვრელმა.

ვ. ი. ლენინის ნაშრომიდან ცალკეული თეორიული დებულებები გააშუქეს და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში თავიანთ პრაქტიკულ წვლილზე ილაპარაკეს კომუნისტური შრომის დამკვრელმა, სათუნუქე საამქროს მუშამ დ. გოცირიძემ, კომუნისტური შრომის სკოლის მსმენელმა მ. ბილისეიშვილმა, ახალგაზრდა ინჟინერმა ნ. ლაღიძემ. კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის, ახალი ადამიანის აღზრდისა და ჩამოყალიბების საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი სიტყვები საფაბრიკატო საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ქ. გოდუაძემ, სათუნუქე საამქროს მუშამ ნ. იაკობაშვილმა და სხვებმა.

მათ სალად შეაფასეს ქარხანაში კომუნისტური შრომისათვის გაწეული მოძრაობა, კრიტიკული შენიშვნები გამოთქვეს იმის გამო, რომ საერთო წარმატებათა ფონზე მოჩანს ჩრდილები — ზოგიერთი უბანი და ბრიგადა ჩამორჩება, ნაკლოვანებებია წარმოების კულტურის, მუშათა საყოფაცხოვრებო მომსახურების, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საქმეში.

ლენინური გაკვეთილის მონაწილეებმა ბევრი საგულისხმო წინადადება წამოაყენეს შრომის, სწავლისა და ყოფაცხოვრების კომუნისტურად მოწყობისათვის.

გადაწყდა — მომზადდეს და მიმდინარე წლის თებერვალში გაიმართოს მეორე ლენინური გაკვეთილი თემაზე: „ვ. ი. ლენინის სიტყვა კომკავშირის მესამე ყრილობაზე და კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის მოთხოვნების შესრულებისათვის ბრძოლა ჩვენს ქარხანაში“.

პოლიტიკური სწავლების ეს ახალი ფორმა სულ უფრო საინტერესო, მიმზიდველი და მიზანსწრაფული ხდება.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



საბარეჯოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში ემზადებიან გაზაფხულისათვის. სურათებზე: (მარცხნივ) მეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი პ. სავჩენკო და სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ტ. ზალიკაშვილი. (მარჯვნივ) საშემოდგომო პურეულის ნათესებში სასუქების შეტანა მანქანით.

ფოტო ი. დავითაშვილისა
(საქდეხის ფოტოქრონიკა).

ახალი სახელმძღვანელო

გამოვიდა ახალი სახელმძღვანელო „სსრ კავშირის ისტორია. სოციალიზმის ეპოქა“. (1917-1961 წლები). სახელმძღვანელოში სისტემატურად გაშუქებულია სსრ კავშირის ისტორია ოქტომბრის რევოლუციიდან კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპამდე. სახელმძღვანელო მომზადა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა და განკუთვნილია ჰუმანტარულ უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეებისათვის.

საბჭოთა ხალხის ისტორიული შემოქმედებისა და სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის გზაზე პარტიის ყოველისმომცველი წარმმართველი საქმიანობის მეცნიერული გაშუქება — ასეთია სახელმძღვანელოს დანიშნულება. სახელმძღვანელოს შექმნისას ავტორთა კოლექტივი ეყრდნობოდა ისტორიის მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს, ითვალისწინებდა მის ახალ მოთხოვნებს. წიგნში გადასინჯულია მცდარი შეხედულებანი, საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ბევრი ფაქტისა და მოვლენის შესახებ, რომლებიც გავრცელებული იყო სტალინის პიროვნების კულტის წლებში. ავტორთა კოლექტივი ცდილობდა ლენინურად გაეშუქებინა ჩვენი სამშობლოს ისტორიის ფაქტები და მოვლენები.

სახელმძღვანელოს შექმნაში მონაწილეობდნენ აკადემიკოსი ვ. მ. ხვოსტოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები მ. პ. კიმი და დ. მ. კეკინი, დოცენტი ე. ნ. ბურჯალოვი, პროფესორები ლ. ს. გაპონენკო, ე. ბ. ენტკინა, გ. ნ. გოლიკოვი და სხვა ავტორები.

წიგნი გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკდესი).

ვუსვამოთ ხალხის გულისთქმას

უკანასკნელ დროს ძირფესვიანად გარდაიქმნა ჩვენი რაიონის სოფლების ცხოვრება — იგი უფრო შინაარსიანი, მჩქეფარე და მრავალფეროვანი გახდა, ამაღლდა მშრომელთა კულტურული მოთხოვნილების დონე. ყოველივე ამან სერიოზული ამოცანები დააყენა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების წინაშე — ადგილობრივი საბჭოები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით აქტიურად მუშაობენ, უნარიანად წყვეტენ პრაქტიკული საკითხებს, განამტკიცებენ კავშირს მასებთან, უკეთესად სწავლობენ საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკას და პრაქტიკულად წყვეტენ მათ წინაშე მდგომ ძირითად ამოცანებს.

საგარეჯოელთა პატრიოტულმა თაოსნობამ „მოუარე და დაამშვენე შენი სოფელი, კარ-მიდამო“ ფართო გამოხმაურება ჰპოვა გურჯაანის რაიონის მშრომელებში. აქ ბევრი რამ გაკეთდა სოფლების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუჯობესებისათვის. ქალაქ გურჯაანში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, აშენდა და უკვე მუშაობს მექანიზებული ბურისსაცხობი ქარხანა. მწყობრში ჩადგა მრავალი სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების კეთილმოწყობილი ობიექტი, მნიშვნელოვანი სახსრები დაიხარჯა გზებისა და ქუჩების კეთილმოწყობისათვის. ასტალის ხევი გამაგრებული იქნა. ქალაქის ქუჩებში გაშენდა მწვანე ნარგავები.

შარშან კიდევ ერთი კარგი საჩუქარი მიიღეს ქ. გურჯაანის მშრომელებმა. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სამაგირო გზა, რომელიც ქალაქის ცენტრს აკავშირებს კულტურისა და დასვენების პარკის პლატოსთან. კაპიტალურად შეკეთდა და გალამაზდა სტადიონი, რომელიც ჩვენი რაიონის ახალგაზრდობის კულტურული დასვენებისა და სპორტული აღზრდის ერთ-ერთი თვალსაჩინო ბაზაა.

ბევრი რამ გაკეთდა აგრეთვე რაიონის სოფლების კეთილმოწყობისა და გალამაზებისათვის. წესრიგში იქნა მოყვანილი გზები, წყალსადენი, კანალიზაციები, ასფალტირებული ქუჩები, საბავშვო მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი.

ხალხის მსახურს ცარიელი დაპირებები არ შეშვენის. მშრომელთა არმიამ დეპუტატად რომ აირჩია და ერთსულოვნად გამოგიცხადა ნდობა, ამ ნდობას გამართლება უნდა. ეს კარგად აქვს შეგნებული სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს რაიონული საბჭოს დეპუტატს მიხეილ იაშვილს. იგი მოეთათბირა სასოფლო საბჭოს დეპუტატებსა და სოფლის აქტივს. შეიმუშავეს სოფლის კეთილმოწყობის გეგმა, ყველაფერი აწონ-დაწონეს... მათ კეთილ საქმეებს ერთსმად დაუჭერეს მხარი მშრომელებმა, და სოფელ ვაზისუბანში მალე ფართოდ გაიშალა მუშაობა. საფუძველი ჩაეყარა კულტურის სახლს. დაიწყო კეთილმეურნეობის ადმინისტრაციული, აგრეთვე საშუალო სკოლის, აბანოს მშენებლობა. დიდმა და პატარამ ხელი გამოიღო. ნათლად იგრძნეს თავიანთი რჩეულის გულისწადილი. აგურს აგური ემატებოდა, სართულს სართული. დიდმა ენერგიამ ნაყოფიც დიდი გამოიღო... სოფელი კულტურის სახლის, კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობის, საშუალო სკოლის ღამაზმა შენობებმა დაამშვენა.

გურჯაანელთა გამოცდილებიდან

სასმელი წყლის ძველი ქსელი ახლით შეცვალეს. მშრომელებმა თნკანები ეზოებშიც დააყენეს. მთლიანად გარდაიქმნა შიდა სასოფლო გზები, უმეტესობა მოხრეშეს და მოაასფალტეს. სოფლის გალამაზებისათვის მარტო 1964 წელს 6.200 სხვადასხვა ჯიშის ნერგი დარგეს, რამდენიმე ჰექტარზე გააშენეს ახალი დეკორაციული ბაღი, ხოლო კიდევ უფრო კეთილმოაწყეს და გაამშვენეს სოფლის ცენტრალური ბაღი და ფეხბურთის მოედანი.

დღეს ვაზისუბნელებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ კარგი სოფელი აქვთ.

ხალხთან მჭიდრო კავშირი — ამ დევიზით მოქმედებენ გურჯაანის საქალაქო საბჭოს დეპუტატები, ცოდნასა და ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ რაიონის ცენტრი მიმზიდველი და კეთილმოწყობილი გახდეს. მათი მონდომებისა და მშრომელთა ფართო მასებთან კავშირის შედეგად მხრეს ფართოდ შლის გურჯაანი. ვიწრო და ოღროჩოღრო ქუჩების ადგილს ფართო და მოასფალტებული ქუჩები იკავებს. სანაპირო ქუჩებსაც შეეხო კეთილმოწყობა. გადაკეთდა, გალამაზდა და დამშვენდა რკინიგზის გურჯაანის სადგურის მოედანი. დამთავრდა ქ. გურჯაანის ორჯობიკიძის ქუჩის რეკონსტრუქცია და მოასფალტება, დაწყებულია სანაპირო ქუჩის მშენებლობა, რაც უახლოეს წლებში დამთავრდება. გურჯაანი უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ქალაქი გახდება. წელს ამავე ხევზე რკინაბეტონის ხიდი გაიდება.

ქალაქის ცენტრში დასასრული უახლოვდება ფართოეკრანიანი კინოთეატრის გრანდიოზული შენობის აგება. ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ კეთდება ქალაქის კეთილმოწყობისა და გამშვენიერებისათვის. ქალაქის მთავარი მაგისტრალები დღის სინათლის ღამპიონებმა დაამშვენა.

ვინ არ იცის ბაღ-ვენახიანი სოფელი კარდანახი. დოვლათ-უხვია კარდანახი და ამ სიუხვეს მუხლნაუხრელმა მშრომელებმა უანგარო შრომით მიაღწიეს. მათში ძნელია ცალკეულ მოწინავეთა გამოყოფა. კარდანახის სასოფლო საბჭომ მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებთან ერთად სოფლის მშრომელთა აქტიური მონაწილეობით დააყენა საკითხი სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფის შესახებ.

თქმა და საქმიანობის დაწყება ერთი იყო. დიდმა თუ პატარამ, ქალმა თუ კაცმა საქმეს მოკიდა ხელი. ყველა ერთი კაცივთი გავიდა სამუშაოზე. წყლის მილებისათვის გაჭრეს თხრილები. მიწის სამუშაოები ერთი დაკვრით შეასრულეს, შემდეგ ხელმძღვანელებმა და ტექნიკურმა მუშაკებმაც თავიანთი სიტყვა თქვეს, და ახლა კარდანახელებს წყლის მოსატანად შორ მანძილზე სიარული აღარ უხდებათ.

ხალხის რჩეულნი ამას არ დასჯერდნენ. საჭირო იყო აბანო, და სოფელში აბანოს ტიპური შენობა აეშენებ. მას პურისსაცხობის შენობა მოჰყვა. დაიწყეს აგრეთვე ფქვილის დამხარისხებელი მექანიზებული წისქვილის მშენებლობა, რომელიც მალე ამუშავდება.

კარდანახი ძველი სოფელია. საუბნო გზების უმრავლესობა თანამედროვე მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, ვიწრო და მოუხერხავი იყო. საჭირო იყო მათი გაფართოება და კეთილმოწყობა. რკინიგზის სადგურისაკენ მიმავალ გზაზე ასფალტი დაგეგს, მოხრეშეს მინდორში მიმავალი მთავარი გზა, გაალამაზეს შიდასასოფლო გზების უმეტესობა, შეაკეთეს წყლის საწრეტი არხები. საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციული შენობის გვერდით მარადმწვანე ხეები დარგეს, სკოლის-ეზოში და გზის ნაპირებზე ასობით ნერგი გაახარეს...

კარდანახი ის აღარ არის, რაც წინათ იყო. უფრო მიმზიდველი, ლამაზი და კეთილმოწყობილი გახდა. მაგრამ არც ამას სჯერდებიან კარდანახელები. მშობლიურ სოფელს კიდევ უფრო კეთილმოწყობილს გავხდითო, ამბობენ და ამას საქმით დაამტკიცებენ.

კოლმეურნეობის გამგეობის და სასოფლო საბჭოს ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით სოფელ ველისციხის ცენტრი სანეშენო სკვერმა და ყვავილნარმა დაამშვენა. ორ კილომეტრზე მეტი გზა მოასფალტდა, 10 კილომეტრამდე საუბნო გზა შეკეთდა და მოიხრეშა. ქუჩებში სისუფთავე დამკვიდრდა, 500 ნარგავზე მეტი შეემატა საუბნო გზების ნაპირებს. სწრაფი ტემპით შენდება წყალსადენი, რომელიც ძვირფასი სასმელი წყლით უზრუნველყოფს სოფლის ყველა მცხოვრებს.

დიდი ცხოვრების კვალდაკვალ — აი, რაისაბჭოს დეპუტატის, არამედ კოლმეურნეობის თავმჯდომარის შალვა ყამბარაშვილის დევიზი. არაშენდა — ცენტრალური შარაგზას დაშორებულია ექვსი კილომეტრით. ამ გზაზე გავლისას ხშირად იხსენებდნენ ვაჟა-ფშაველას სტრიქონებს: „გზას ვამბობ, თორემ რა გზაა, ვიწრო ბილიკი კლდეზეადაო“, და არცთუ უსაფუძვლოდ. მას ნამდვილად გზა არ დაერქმეოდა. წვიმის წყლის ნაკადებს დაეხრამა და მიეგრ-მოეგრია, ერთ მეტრზეც არ ჰქონდა წყლის საწრეტი არხი, ავტომძღოლებსა და ქვეითად მოსიარულეებს უჭირდათ ამ გზაზე გავლა. კოლმეურნეობის გამგეობამ გადაწყვიტა ამ გზის კეთილმოწყობა და გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას შეუდგა. დაიწყეს გზის მოხრეშვა, წყლის საწრეტი არხების გაჭრა და შემდეგ მოასფალტება, რაც უკვე წარმატებით დამთავრდა. არაშენდის და ჯიმითის მშრომელებმა ერთობლივი ძალით 18 კილომეტრ მანძილიდან გამოიყვანეს სასმელი წყალი. სოფლები ახლა უზრუნველყოფილია წყლით.

კეთილმოწყობისათვის ასევე დიდად ზრუნავენ კაჭრეთის, გურჯაანის, ვეჯინის, ბაკურციხის, ჩუმლაყის, ჭანდრის და სხვა სასოფლო საბჭოების მშრომელები. აქტიურად იბრძვიან სოფლების სილამაზისა და კეთილმოწყობისათვის, მოსახლეობის კარმიდამოს გამშვენებისათვის, წყალსადენების მშენებლობისათვის და სხვ.

ხალხის რჩეულთა მუშაობა მარტო ამ საქმიანობით არ განისაზღვრება. მათი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით გურჯაანის რაიონის ყოველი სოფელი რადიოფიცირებული და ელექტროფიცირებულია. მრავალი სოფელი ახალმა კულტურის სახლებმა დაამშვენა. ყოველივე ეს დეპუტატებს მონდომებული საქმიანობის შედეგია. ისინი წუთითაც არ ივიწყებენ თავიანთ მოიალეებს, ყოველთვის მშრომელებში ტრიალებენ, ანგარიშს უწევენ მათს გულისთქმას, საქმიან წინადადებებს და ესმარებიან ამ წინადადებათა განხორციელებაში.

მათი ფხიზელი თვალი და საქმიანი მარჯვენა ყველგან სწვდება. ყოველ საქმეს მათი მუყაითობის კვალი ამჩნევია. ისინი ჩვენს დიად ცხოვრებას მხარდამხარ მიჰყვებიან და ამიტომაც ამომრჩევლები ღირსეულად აფასებენ თავიანთ რჩეულებს, ერთხმად უჭერენ მხარს მათს საქმიან წინადადებებს და ძალღონეს არ იშურებენ საერთო საქმისათვის.

რ. ნასარიძე,
გურჯაანის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

მოუარე, დაამშვენე შენი სოფელი, კარ-მიდამო!

მივლინება მკითხველის ოსტოვნით

დაკარგული ავტორიტეტი

საქმე ასე დაიწყო: რედაქციაში კოლმეურნეები მოვიდნენ და თავიანთი კოლმეურნეობის ავ-კარგზე წერილი მოიტანეს.

„ახმეტის რაიონის სოფელ ოყოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. გავარდაშვილი, — წერდნენ ისინი, — თვითნებობს, უხეშად არღვევს საკოლმეურნეო დემოკრატიას, ავიწროებს სპეციალისტებს, კოლმეურნეებს.

გთხოვთ ადგილზე შეისწავლოთ მდგომარეობა და დაგვეხმაროთ“.

რედაქცია დაინტერესდა კოლმეურნეთა ამ სიგნალით.

ჩავედით ახმეტის რაიონში.

სამი სოფელია გაერთიანებული კოლმეურნეობაში — ოყოო, ალვაერდი და კოლოთო. კოლმეურნეობა ცნობილია ოყოს სახელით. თავმჯდომარეც ოყოელია. ეი უკვე ექვსი წელია კოლმეურნეობას მეთაურობს ალ. გავარდაშვილი. რაიონში გვითხრეს, მის ხელში კოლმეურნეობის ეკონომიკა წინ წავიდა, მოწინავე თუ არა, საშუალო კოლმეურნეობა მაინც არის, მოსავლიანობისა და დამზადების გეგმები სრულდება.

პირველი შთაბეჭდილებით მართლაც ურიგოდ არ გამოიყურება კოლმეურნეობა. მაშ რატომ არიან კოლმეურნეები უკმაყოფილო?

— საკეურნეო მაჩვენებლებს გაეცანით, — შემოგვთავაზა თავმჯდომარემ.

თვალის ერთი გადავლებით კოლმეურნეობა თითქოს ცუდად როდი მუშაობს, მაგრამ თე ღრმად ჩავწვდებით სასოფლო-სამეურნეო მაჩვენებლებს, დავრწმუნდებით, რომ ყველაფერი რიგზე როდია. მეცხოველეობა აქ დიდი ხანია წამგებიანი დარგია. თანდათან მცირდება ძროხების წველადობა. ცხვარს გამოცდილი მწყემსის ხელი აკლია. კოლმეურნეობის გამგეობამ სხვა სოფლებიდან დაიქირავა მწყემსები. საკუთარი კოლმეურნეობის მწყემსები რ. თურქოშვილი, ო. ნახუცრიშვილი, ბ. კუპრაშვილი, გ. ბაბიკოშვილი და. სხვები კერძო ცხვარ-ძროხას მწყემსავენ.

თავმჯდომარე ხშირად ერთბიროვნულად, თვითნებურად წყვეტს საკითხს, ამას კი შეცდომები მოსდევს.

1962 წელს კოლმეურნეობას მიეღო 5.000 ცალი შიფერი. აქედან თავმჯდომარემ 1.000 ცალი ხორხლის კოლმეურნეობას ასესხა, ხოლო 500 ცალი — შალატრის კოლმეურნეობას. ეს მაშინ, როცა კოლოთოში სამკითხველო და სხვა საზოგადოებრივი ნაგებობანი დიდხანს გადაუხურავი იყო.

— როგორ, თავმჯდომარეს უფლება არა აქვს რაიმე გაასესხოს? — გაცხარდა ა. გავარდაშვილი.

— აქვს, მაგრამ ამისათვის მარტო თავმჯდომარის სურვილი არ კმარა, საჭიროა გამგეობისა და საერთო კრების დასტური, — უთხრეს თავნება თავმჯდომარეს.

ოყოში შრომის დისციპლინაც მოშლილია. კოლმეურნეთა საკმაო ნაწილს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია, ხოლო ოცზე მეტ კოლმეურნეს სულ არ უმუშავნია. ამის შემდეგ ნათელია, ნათესებისა და ვენახების ნაწილი რატომ დარჩა დაუმუშავებელი, ან რად დასჭირდა კოლმეურნეობას მწყემსების დაქირავება.

თავმჯდომარე მკაცრი უნდა იყოს, თორემ ავტორიტეტს ვერ მოიხვეჭს, დისციპლინა არ ეჭნება, — ამბობს გავარდაშვილი. ცდება. ავტორიტეტს ხელმძღვანელი მაგიდაზე მუშტის დარტყმით და ყვირილით ვერ მოიხვეჭს. ავტორიტეტს კაცი თავმოდაბლობით, პატიოსნებით, კოლმეურნეებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებითა და ხალხისათვის, პარტიისა და საბჭოთა სამეურნეოსათვის თავდადებული, ერთგული შრომით მოიპოვებს.

„ორ წელიწადს კოლმეურნეობის გამგეობის წევრი ვიყავი, — თქვა კოლმეურნე თამარ გავარდაშვილმა, — თავმჯდომარე უხეშად მექცეოდა. ერთხელ, მინდვრიდან სხვა კოლმეურნეებთან ერთად აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად თუთის ფოთლის კონები რომ მოგვეკრიფა, თავმჯდომარემ მანქანით ამოიარა, ვთხოვეთ სოფელში წავეყვანეთ ან ფოთოლი წაიღო. მან უკმეხად გვითხრა უარი და თან იცრუა, ვენახში მივდივარო. სინამდვილეში კი სოფელში მიდ ‹და. ეს რომ ვუსაყვედურე, თავმჯდომარემ დამიყვირა, ენა ჩაიგდე მუცელშიო“.

კოლმეურნეობა ერთი მთლიანი ოჯახია. ოჯახის ყოველი წევრი კი სრულფასოვანია და ხელმძღვანელი მას პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს. მაგრამ, ეტყობა გავარდაშვილმა დაივიწყა ხელმძღვანელის მოვალეობა. მან თვითნებურად გაათავისუფლა სპეციალისტები სამუშაოდან. აგრონომ ეროსი ო. შარმაზანაშვილი ცუდად როდი მუშაობდა, მაგრამ თავმჯდომარეს ერთ დღეს არ მოეწონა მისი კრიტიკული გამოსვლა კრებაზე და გაათავისუფლა ბრიგადირობიდან. ასევე მოექცა რ. დანაბრელაშვილსაც.

კოლმეურნეობის მეთაური სანიმუშო უნდა იყოს ოჯახშიც და გარეთაც. მაგრამ ა. გავარდაშვილი ამას ყოველი ფეხის ნაბიჯზე არღვევს. მისი მეთერთმეტეკლასელი შვილი დიმიტრი მამის იმედით უხეშად ექცევა მეზობლებს. მან ერთ დღეს კოლმეურნეობის სატვირთო ავტომანქანა გაიტაცა, თელავში დაჯახება მაყვალა ქვაბარშიაშვილს და იმსხვერპლა იგი.

თავმჯდომარე გავარდაშვილი რაიონში გავარდა, დატრიალდა და თელავის სასამართლოს თავმჯდომარის გ. მირიმანაშვილის დახმარებით დამნაშავე შვილს სასჯელი აიცდინა. მოსამართლემ კაცის მკვლელს მხოლოდ ორი წლის პირობითი სასჯელი აკმარა (!).

— რა ქენა, მე ხომ არ ვეთხარი, გაიტაცეთ, მე რა შეგაწუხეთ? — თავს იმართლებს თავმჯდომარე.

სასამართლოს სხდომაში ახმეტის რაიასბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგის ა. შეელაშვილის ხელმოწერილი [illegible] ახმეტის [illegible] ‹ ‹ ‹

საერთაშორისო
დეკენელი სოციალური ინფორმაცია
ცხოვრება

მსოფლიო ამ დღეებში

მეგობრობის სიმბოლო

კაირო, 15 იანვარი. (საკდესი). „როცა რევოლუციაზე ვლაპარაკობთ, რომელმაც შესაძლებელი გახადა ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობა, უნდა ვილაპარაკოთ აგრეთვე მეგობრებზე, რომლებსაც ესმით ჩვენი ხალხის მისწრაფებანი და ნება და რომლებიც დახმარების ხელს გვიწვდიან, მაშინ როცა სხვები უარს გვეუბნებიან ამაზე", — წერს გაზეთი „ალ-გუმჰურია" და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი დიდ დახმარებას უწევს არაბეთ გაერთიანებულ რესპუბლიკას ასუანის კაშხალის მშენებლობაში.

ლიდერთა შეხვედრა

კამპალა, 15 იანვარი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა უგანდის პრემიერ-მინისტრის მილტონ ობოტეს, კენიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯომო კენიატასა და ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯულიუს ნიერერეს, გუშინდელი მოლაპარაკების შედეგები. აღმოსავლეთ აფრიკის სამი ქვეყნის ლიდერები შეთანხმდნენ გამოაქვეყნონ ხელშეკრულება კენიის, უგანდისა და ტანზანიის შიდატერიტორიული ვაჭრობის შესახებ.

ვაშინგტონი, 14 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა დღეს კონგრესს გაუგზავნა წერილი „უცხოეთის სახელმწიფოებისადმი დახმარების შესახებ". წერილში მთავარი ყურადღება ეთმობა სამხედრო დახმარების პროგრამას, ესე იგი ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირ სამხედრო ჩარევას სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ამ საბაბით, რომ როგორც ჯონსონმა თქვა, შექმნან „ფარი, რომლის იქითაც შეიძლება წარმოებდეს ეკონომიური და სოციალური განვითარება".

ჯონსონის წერილი

ამ მიზნით პრეზიდენტი სთხოვს კონგრესს 1700 მილიონ დოლარს, რაც 125 მილიონი დოლარით აღემატება თანხას, რომელიც ასიგნებული იყო მიმდინარე 1964-1965 საფინანსო წლის სამხედრო დახმარების პროგრამით.

უცხოეთის სახელმწიფოებისადმი დახმარებისათვის პრეზიდენტი სულ მოითხოვს 3.380 მილიონ დოლარს.

მარტო საიგონის მარიონეტული რეჟიმის მხარდასაჭერად, სამხრეთ ვიეტნამის ბინძური ომის საწარმოებლად და ლაოსისადმი სამხედრო დახმარების გასაწევად ჯონსონი სთხოვს კონგრესს გამოაყოს 500 მილიონი დოლარი. მან სთხოვა აგრეთვე გამოჰყოს სპეციალური სარეზერვო ფონდები „მხოლოდ სამხრეთ ვიეტნამში გამოსაყენებლად, თუ ეს საჭირო იქნება".

ესპანეთი იარაღდება

ბონი, 14 იანვარი. (საკდესი). დღეს დასავლეთგერმანული გაზეთი „ინდუსტრიკურირი" იუწყება ფრანკოს. ესპანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოდერნიზაციის გეგმების შესახებ იმ მიზნით, რომ ესპანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი გარდაიქმნას უმსხვილეს სამხედრო ფლოტად ხმელთაშუა ზღვაში.

მთლიანად „მოდერნიზებული" ფრანკოს სამხედრო-საზღვაო ძალების საფუძველი უნდა გახდეს თანამედროვე საომარი ხომალდი — ფრეგატები.

კონფრონტაციის ქალაქს ქარგავს

ალჟირი, 14 იანვარი. (საკდესი). როგორც გაუგია „ან-ნასრი" იუწყება, ბევრი კონტრრევოლუციონერი, რომლებიც აღმოსავლეთ ალჟირში მოქმედებდნენ, რევოლუციის დამცველთა მხარეზე გადავიდა.

მათ განაცხადეს, რომ ალჟირელი ხალხის შოდალტემ პოლკოვნიკმა შაბანმ და მისმა დამქაშებმა ძალით აიძულეს ისინი მათ რიგებში ემსახურათ.

სახელმწიფო დეპარტამენტი თავს აბიდებს პასუხს

ვაშინგტონი, 15 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო იტყობინება: ოფიციალური ვაშინგტონი სდუმს იმის გამო, თუ რა გარემოებაში ჩამოაგდეს ამერიკის ორი რეაქტიული ბომბდამშენი-ავიაგამანადგურებელი ლაოსში.

გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მაკლოსკიმ მოკლე პასუხი გასცა კორესპონდენტთა შეკითხვებზე: „არ მსურს მსჯელობა, უფლება არა მაქვს გავაშუქო"...

ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა მაკლოსკის, უფლებას აძლევს თუ არა 1962 წლის შეთანხმება ლაოსის შესახებ ამერიკის ავიაციას ასე იმოქმედოს. მაკლოსკი ამტკიცებდა, თითქოს ლაოსის ნეიტრალიტეტის შესახებ დეკლარაციის ოქმის მე-6 მუხლის თანახმად ამ ქვეყნის მთავრობას, როცა საჭიროდ მიიჩნევს, შეუძლია მოითხოვოს, დახმარება. მაგრამ თავი აარიდა პასუხს კითხვაზე, ითხოვა თუ არა ლაოსის მთავრობამ, რეიდები მოეწყოთ თანამედროვე რეაქტიული თვითმფრინავების ძალებს.

ეს კითხვა შემთხვევითი როდი იყო. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგანგებო გუშინ საღამოდან იუწყებოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბომბდამშენი ავიაგამანადგურებლები, რომლებსაც ბაზა სამხრეთ ვიეტნამში აქვთ, უკვე შვიდი თვეა თავს ესხმიან „კომუნისტთა მომარაგების სამიზნეებსა და ბაზებს ლაოსში". აქ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ერთ-ერთი ჩამოგდებული თვითმფრინავი იყო ბომბდამშენი ავიაგამანადგურებელი F-105 — „ტანდერგიფი". ეს „ერთ-ერთი საუკეთესოა იმ თვითმფრინავებს შორის, რომლებიც აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებს", — წერს „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიონი".

ახალი ატომური ცენტრები

